საბა

საქართველოს კათოლიკეთა
ყოველთვიური მაცნე

THE MONTHLY BULLETIN OF
CATHOLICS OF GEORGIA - SABA

N7 (331) | 2023

30 წელი
საზოგადოებრივ
ადმინისტრაცია

რედაქტორის გვერდი ... 3-4

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში..... 5-6

ჩვენი ეკლესია..... 7-9

ეკუმენური გვერდი..... 10

ჩანართი:.....I-IV

სიმპოზიუმი 11

ქრისტეს თანამედროვე მოწმენი..... 12-13

სოციალური გვერდი 14

სოციალური გვერდი 15

ჰომილია..... 16

კათოლიკური კულინარია 17

საბავშვო გვერდი..... 18

ინფორმაცია..... 19

ივლისი

3 ივლისი - წმ. თომა მოციქულის დღესასწაული

11 ივლისი - წმ. ბენედიქტე, ევროპის მფარველი, ბენედიქტელ დედათა მფარველი, დღესასწაული

14 ივლისი - წმ. კამილო დე ლელისი, სნეულთა და მედმუშაკთა მფარველი, კამილიელ მამათა და დედათა ზეიმი

21 ივლისი - მ. პავლე შჩეპანეკის გახსენება (+1999)

22 ივლისი - წმ. მარიამ მაგდალელი, დღესასწაული, დ. ნოელ ლოკატელის გახსენება (+2019)

24 ივლისი - მ. ნინო (ჯანჯიროლამო) მარტინის გახენება (+2017)

25 ივლისი - წმ. იაკობ მოციქულის დღესასწაული

WORLD YOUTH DAY

კათოლიკობა თუ ქართველობა

შეიძლება ასეც ითქვას: კათოლიკობა თუ ქრისტიანობა, კათოლიკობა თუ ოჯახი, კათოლიკობა თუ სამუშაო... და შეგვიძლია გავაგრძელოთ კიდევ სხვა ალტერნატივით, რაც ძირს უთხრის ჩვენს კათოლიკურ რეალობას საქართველოში; ყველა მნიშვნელოვანი ტერმინია, მაგრამ ყველა თანაბრად მნიშვნელოვანია? რა თქმა უნდა, არა! მორწმუნე ადამიანისთვის პრიორიტეტი უნდა იყოს მისი რწმენა, მისი ეკლესიისადმი კუთვნილება, თუ არჩევანის გაკეთება უწევს კათოლიკობასა და ქართველობას შორის.

საქართველოში საკმაოდ ბევრი კათოლიკესთვის, როგორც ჩანს, უფრო დიდი პრობლემაა ქართველად არაღიარების ფაქტი, ვიდრე კათოლიკობა, რითაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი არანაკლებ ნაციონალისტები არიან, ვიდრე სხვა რელიგიის მორწმუნეები; მაგრამ თუ ქართველობას პირველ ადგილზე ვაყენებ, შემიძლია, ჩემი კათოლიკობა და ეროვნება ისე შევუკავშირო ერთმანეთს, რომ უკან არ დავიხიო ისეთი არჩევნის წინაშე, როგორიცაა სამუშაო, ქორწინება, ბავშვების ნათლობა?

სამწუხაროდ, კათოლიკური ტრადიციის ბევრმა მორწმუნემ დაივიწყა თავისი ოჯახის ისტორია, რათა სხვებზე ნაკლებ ქართველად ან უცხოდ არ ეგრძნო თავი ამ საზოგადოებაში... უმრავლესობის მსგავსად დაიწყეს აზროვნება და მსჯელობა, რაც ხშირად უსაფუძვლო და უშედეგოა. ნუთუ ის, ვინც კათოლიკე ეკლესიის მიტოვებას აპირებს, ან უკვე მიატოვა, უფრო მეტად გრძნობს თავს ქართველად? ან, თუკი მართლმადიდებელი გახდება, უფრო უკეთესი ქრისტიანი იქნება, ვიდრე კათოლიკედ ყოფნის დროს იყო? თუ ეს მართალია, მაშინ არც შეძენილი ქართველობა არის ჭეშმარიტი და არც მიტოვებული კათოლიკობა ყოფილა ის, რის შესახებაც წერდა წმიდა ეგნატე ანტიოქიელი, როცა იგი რომში გადაიყვანეს, სანამ მხეცებს მიუგდებდნენ დასაგლეჯად.

საქართველოს მართლმადიდებლურმა საპატრიარქომ (იხ.საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ვებგვერდი: https://www.facebook.com/sazupatriarchate) 2023 წლის 19 მაისს, ბუზმარეთის მოვლენების მომდევნო დღეს, დაწერა, რომ „კათოლიკობა წარმოიშვა XI საუკუნეში“; მაშინ ისიც უნდა ვიკითხოთ, რატომ არ უნდა წარმოშობილიყო მართლმადიდებლობაც XI საუკუნეში? მაშ, როგორღა მიიღეს მონაწილეობა კათოლიკე და მართლმადიდებელი ეკლესიების შერეულ საერთაშორისო კომისიის შეხვედრაში, რომელიც გასული წლის 1-7 ივნისს გაიმართა ალექსანდრიისა და მთელი

მამა გაბრიელე ბრაგანტინი CSS

სტიგმატელი, ეპისკოპოსის ვიკარი ეკუმენიზმისა და კულტურის დარგში, წინამძღვარი (ქუთაისი, ბათუმი, ოზურგეთი)

აფრიკის ბერძნულ-მართლმადიდებლური საპატრიარქოს ეგიდით? აქვე, ურიგო არ იქნებოდა გაგვეგო, რას ნიშნავს „კათოლიკობა“.

ცხადია, ტერმინი „კათოლიკე“ არც „ქართველობასთან“ იდენტიფიცირდება და არც „მართლმადიდებელი“ უნდა გაიგივდეს „ქართულთან“; „კათოლიკე“ ნიშნავს ,,უნივერსალურობას“, როგორც მთლიანობა, რომელიც ყველას მოიცავს და არავის და არაფერს რიყავს; პირიქით... როგორც მეორე საუკუნის დასაწყისში დიოგნეტოსის მიმართ ეპისტოლეს ავტორი წერდა ქრისტიანებზე საუბრისას, სწორედ კათოლიკეა, ვინც ყველა ქვეყანაში თავს ისე გრძნობს, როგორც სამშობლოში და ყველას სამშობლო მისთვისაც შეიძლება იყოს სამშობლო, რადგან „ყოველი უცხო მხარე მათი სამშობლოა, თუმცა, ყველა სამშობლო მათთვის უცხო მიწაა“. ,,სამშობლო“ და ,,კულტურა“ მშვენიერი და კეთილშობილური ცნებებია, თუკი ვაღიარებთ ამ ფაქტის სიცხადეს: სამშობლო ეკუთვნის მას, ვისაც ის უყვარს და პატივს სცემს და არა იმას, ვინც მხოლოდ იქ დაიბადა და, შესაძლოა, არად აგდებდეს მის კანონებსა და ნორმებს; სამშობლო ეკუთვნის მას, ვინც უფრთხილდება და ავითარებს არა სექტორულ, არამედ უნივერსალურ, არა ექსკლუზიურ, არამედ ინკლუზიურ ღირებულებებს.

„ქართველობა“ კი რაც არ უნდა მშვენიერი, უნიკალური, საინტერესო იყოს, როგორც ყოველი კულტურა, თუკი მთლიანობის, საყოველთაოს ნაწილად არ იგრძნობს თავს, გაქრება, ისე, რომ ვერ შეძლებს თავისი მრავალფეროვანი რეალობის ინტეგრირებას, ყველასადმი პატივისცემით.

კათოლიკობა თუ ქართველობა? კითხვა, რომელიც იპოვის თავის ნამდვილ პასუხს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ყოველი მორწმუნე, ჭეშმარიტი რწმენის დაცვით, ყოველგვარი შიშის გარეშე იგრძნობს მისი შენარჩუნების აუცილებლობას საზოგადოებაში; როდესაც კათოლიკე ეკლესიას ჩემი ქართველობის დასამტკიცებლად ვტოვებ, ან თუნდაც მართლმადიდებელი იმიტომ ვარ, რომ სხვაზე ნაკლებ ქართველად არ ვიგრძნო თავი, აქ უსათუოდ საჭირო ხდება გავიხსენოთ სახარება იესო ქრისტესი, რომელიც მუდამ გვიხმობს მოქცევისა და ყველა ეკლესიასთან ზიარებისკენ, კერძოდ კი, რომის ეკლესიასთან, „ეკლესიასთან, რომელიც სიყვარულში წინამძღოლობს“, როგორც წერდა წმიდა ეგნატე ანტიოქიელი.

წმიდა საყდრის სამშვიდობო მისია

5-6 ივნისს, უწმიდესი ფრანცისკეს დავალებით, ბოლონიის მთავარეპისკოპოსი, იტალიის ეპისკოპოსთა კონფერენციის პრეზიდენტი, კარდინალი მატეო მარია ძუპი კიევს ეწვია. წმიდა საყდრის პრესსამსახურის განცხადებით, იერარქს მიენდო საგანგებო სამშვიდობო მისია, რომლის მიზანი ამ ეტაპზე „ისეთი ატმოსფეროს შექმნაა, რომელიც მხარეებს სამშვიდობო პროცესებისკენ წაიყვანს“. წმიდა საყდრის სახელმწიფო მდივანმა, პიეტრო პაროლინიმ აღნიშნა, რომ კარდინალის მისია, უპირველეს ყოვლისა, მხარეთა დაახლოების ხელშეწყობაა. როგორც აღნიშნა კარდინალმა ძუპიმ, ხანმოკლე ვიზიტი კიევში საკმაოდ ნაყოფიერი იყო. „აგრესორზე ზეგავლენის მოხდენა და უკრაინის მიწაზე სამართლიანი მშვიდობის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ ერთობლივი ძალებით, დიპლომატიური იზოლაციისა და რუსეთზე ზეწოლის საშუალებით. დახმარებას ვთხოვ წმიდა საყდარს უკრაინის სამშვიდობო გეგმის განხორციელებაში. უკრაინა მიესალმება სხვა ქვეყნებისა და პარტნიორების მზაობას, ეძიონ სამშვიდობო გზები. თუმცა ომი ჩვენს ტერიტორიაზე მიმდინარეობს, ამიტომ მშვიდობის დამყარების გადაწყვეტილება შეიძლება იყოს მხოლოდ უკრაინული“, - დაწერა ვოლოდიმირ ზელენსკიმ თავის Telegram-ში 6 ივნისს. პრესცენტრის ცნობით, მატეო ძუპიმ კრემლისგან მოსკოვში ვიზიტის თანხმობა მიიღო, თუმცა გამგზავრების თარიღი ჯერ ცნობილი არ არის.

პაკისტანელი მღვდლის მისია

„გლობალური მონობის ინდექსით“ პაკისტანი მეექვსე ადგილზეა მონების რაოდენობით. დღეს ქვეყანაში ორ მილიონზე მეტი მონაა, რაც ქვეყნის მოსახლეობის 1,13% შეადგენს. ბევრი მათგანი ამ სავალალო მდგომარეობაში ე. წ. „ფეშგას“ გამო აღმოჩნდა. „ფეშგა“ ავანსია, რომელსაც დამსაქმებელი მუშას პროცენტიანი ვალის სახით აძლევს. ხელფასი ძალზე მცირეა, ვალი იზრდება და მთელ ოჯახს ეკისრება, მისი წევრების სქესის, ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის განურჩევლად. ამგვარად, მთელი ოჯახი მონობაში ხვდება და იძულებულია წლების მანძილზე იმუშაოს ვალის დასაფარად. ფაისალაბადის ეპარქიის 72 წლის მღვდელი, მამა ემანუელ პარვეზი, რომლის სამრევლო ორმოც სოფელს მოიცავს, ხშირად ისმენს ამგვარ ისტორიებს. „ქრისტიანები და ინდუისტები, რომლებიც მეტწილად პაკისტანის უღარიბეს ფენას მიეკუთვნებიან, ხშირად ამ სისტემის მსხვერპლად, „სესხის მონებად“ იქცევიან. მსესხებლის სიკვდილის შემთხვევაში ვალი არსად ქრება და ოჯახს ეკისრება, მათ შორის, მცირეწლოვნებსაც“, - აღნიშნა მამა ემანუელმა სააგენტო „ფიდესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. სამართლებრივად ამ ადამიანების ბედის შემსუბუქება შეუძლებელია. ამიტომ მამა ემანუელი ევროპაში და აშშ-ში მცხოვრებ

ნაცნობ-მეგობრებსა და ქველმოქმედებს მიმართავს. ასე აგროვებს მონების გამოსყიდვისთვის საჭირო თანხას (ჩვეულებრივ, ვალის ოდენობა 500-1000 ევროს შეადგენს) და ადამიანებს ამ უღლისგან ათავისუფლებს. ასე დაიხსნა უკვე ორმოცი ოჯახი. ჩვეულებრივ, მამა ემანუელის მიერ დახსნილები „ქრისტე-მეფის დასახლებად“ წოდებულ სოფელში სახლდებიან და თავს რაიმე ხელობით ან მიწათმოქმედებით ირჩენენ. ასე ეხმარება მამა ემანუელი ამ ადამიანებს ახალი - სადა და ბედნიერი ცხოვრების დაწყებაში.

ნიკარაგუაში ორტეგას რეჟიმი კათოლიკე ეკლესიის დევნას განაგრძობს

ამჯერად ხელისუფლებამ ფულის გათეთრების ბრალდებით ესტელის ეპარქიის ორი მღვდელი და ექვსი საერო მსახური დააკავა. საქმე ისაა, რომ კათოლიკური დახმარების სამსახურმა (CRS, აშშ) ნიკარაგუას ეკლესიას საავადმყოფოს მშენებლობისთვის გარკვეული თანხა გადასცა. მშენებლობის დასრულების შემდეგ დარჩენილი თანხა, 563 206 აშშ დოლარი, სრულიად ლეგალურად და გამჭვირვალედ გადაეცა ესტელის ეპარქიას. „ფულის გათეთრების ბრალდება საფუძველს მოკლებულია. საავადმყოფოს მშენებლობის დასრულების შემდეგ დარჩენილი ნაშთი ჩვენ გადავეცით ესტელის ეპარქიას და მის მესვერუთა გადასაწყვეტია, რომელი სამრევლოს საჭიროებებს უნდა მოხმარდეს აღნიშნული თანხა“, - განაცხადა კათოლიკური დახმარების სამსახურის წარმომადგენელმა. მიუხედავად იმისა, რომ ხარჯთაღრიცხვის ამსახველი დოკუმენტაცია წესრიგშია, დაკავებულები ჯერ კიდევ პატიმრობაში რჩებიან, ეპარქიის საბანკო ანგარიშები კი დალუქულია.

დღეისთვის ქვეყანაში დაიხურა 18 კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, მათ შორის, მანაგუას უწმიდესი ღვთისმშობლის უმანკო ჩასახვის სახელობის კათოლიკური უნივერსიტეტი. ხელისუფლების განცხადებით, ეს უნივერსიტეტის მმართველთა „ნებაყოფლობითი გადაწყვეტილებაა“. იხურება კათოლიკე ეკლესიის ორდენთა ეგიდით გახსნილი სკოლები. ამ დაწესებულებებში მომსახურე უცხოელ მონაზვნებს ქვეყნიდან გაძევება ემუქრება.

ხუროებმა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის სახურავი აღადგინეს

საქმე ისაა, რომ აღდგენითი სამუშაოებისთვის ხუროებმა შუა საუკუნეების ხელსაწყოები და ტექნოლოგიები გამოიყენეს. „გვინდა აღვადგინოთ ტაძარი ისეთივე საშუალებებითა და ხერხებით, რომლებიც მისი მშენებლობის დროს გამოიყენებოდა. ამგვარად, სათანადო პატივს მივაგებთ იმ დიდოსტატებს, რომლებმაც პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი და საფრანგეთის ხუროთმოძღვრების სხვა დიადი ძეგლები ააგეს“, - აღნიშნა ტაძრის რეკონსტრუქციის პროექტის ხელმძღვანელმა, ჟან-ლუი ჟორჟელინმა.

წერილი საქართველოს მთავრობას

სახელმწიფო სამდივნო
ვატიკანიდან, 27 იანვარი, 2023 წ.
N. 905/23/RS

ბატონო პრემიერმინისტრო,

როგორც გახსოვთ, გასულ სექტემბერს, ნიუ-იორკში ჩატარებული გენერალური ასამბლეის მაღალი დონის კვირეულის დროს, შესაძლებლობა მომეცა მოგსალმებოდით გენერალური დებატების დაწყებამდე. იმ მოკლე შეხვედრისას მე შევეხე საქართველოში იმ კათოლიკური ეკლესიების დაბრუნების საკითხს, რომლებიც ამჟამად დაკავებულია მართლმადიდებლური სამრევლოების მიერ.

ნება მიბოძეთ, მადლობა მოგახსენოთ ყურადღებისა და იმ ინტერესისთვის, რომელიც ამ საკითხის მიმართ გამოიჩინეთ.

ამის გათვალისწინებით, სასარგებლოდ მიმაჩნია მოკლედ შევაჯამო აღნიშნული საკითხი. საქმე ეხება ექვს კათოლიკურ ეკლესიას: გორის, ქუთაისის, ბათუმის, უდის, ივლიტისა და ბუზმარეთის ეკლესიებს (იხ. დანართი). მართლმადიდებლური სამრევლოები, რომლებიც სადღეისოდ იკავებენ ამ ეკლესიებს, აცხადებენ, რომ ეს ეკლესიები მათ გადასცა ქვეყნის ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე. ამდენად, ისინი ამ საკითხს განიხილავენ „სახელმწიფო საქმედ“.

თავდაპირველად, კათოლიკური ეკლესიისთვის ამ ქონების (რომელიც მას კანონიერად ეკუთვნის) დაუბრუნებლობა, ასე თუ ისე, აიხსნებოდა იმით, რომ მართლმადიდებელ მრევლს საკულტო ნაგებობების ნაკლებობა ჰქონდა. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე კი, მას შემდეგ, რაც მართლმადიდებელი ეპისკოპოსების მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით ასეულობით ეკლესია აიგო (მათ შორის, სახელმწიფოს დახმარებითაც), სადღეისოდ ეს პრობლემა აღარ არსებობს.

ამის გათვალისწინებით, ნება მიბოძეთ, თქვენო აღმატებულებავ, გავიხსენო კათოლიკე ეკლესიის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული არაერთი მეგობრული აქტი. კერძოდ, სხვადასხვა ქვეყანაში რამდენიმე ეკლესიამ დააკმაყოფილა ქართველი მართლმადიდებელი მრევლის საჭიროებანი, როცა გამოუყო მას სალოცავი ადგილები. მაგალითად, რომში აღნიშნული მრევლი იყენებს მონტის წმიდა მაცხოვრის სახელობის ეკლესიას (San Salvatore ai Monti). ამიტომ, პოლიტიკური თვალსაზრისითაც, მისასალმებელი იქნებოდა ერთგვარი „საპასუხო ნაბიჯის“ გადადგმა, რაც, სადღეისოდ მაინც, შეიძლებოდა გამოხატულიყო უმანკო ჩასახვის ეკლესიის დაბრუნებით, რომელიც მდებარეობს ქალაქ ქუთაისში, იქ, სადაც ცხოვრობს ყველაზე მრავალრიცხოვანი და ისტორიულად მნიშვნელოვანი რომაულ-კათოლიკური თემი საქართველოში.

წინასწარ გიხდით მადლობას ყველაფრისთვის, რის გაკეთებასაც ამ საკითხთან დაკავშირებით შეძლებთ და ჩვენი კეთილი ურთიერთობების გაგრძელების იმედით, ვსარგებლობ შემთხვევით, რათა დავუდასტურო თქვენს აღმატებულებას ჩემი უღრმესი პატივისცემა.

კარდინალი პიეტრო პაროლინი
სახელმწიფო მდივანი

მის აღმატებულებას
საქართველოს პრემიერმინისტრს
ბ-ნ ირაკლი ღარიბაშვილს
თბილისი

საქართველოში კათოლიკე ეკლესიის კუთვნილი ტაძრები

გორის კათოლიკური ტაძარი

გორის წმ. ოჯახის კათოლიკური ტაძარი აშენდა 1806-1810 წლებში. ქალაქ გორში ოდითგანვე არსებობდა კათოლიკური თემი. ამასთან, გორი გახლდათ კათოლიკე მისიონერების ერთ-ერთი საცხოვრებელი ადგილი (სულ ცოტა, მე-17 საუკუნიდან მოყოლებული). 1930-იან წლებში, როცა ეკლესია მღვდლის გარეშე დარჩა, საბჭოთა მთავრობამ იგი დახურა და მისი კონფისკაცია მოახდინა. 1970-იანი წლების ბოლოს შენობა გადაეცა კომკავშირს და გამოიყენებოდა საკონცერტო დარბაზად. იქ განთავსდა ქალაქის სამუსიკო სკოლა. ,,პერესტროიკის" დადგომისთანავე, მორწმუნეთა მოთხოვნით, სამუსიკო სკოლა დაიხურა, მაგრამ შენობა მრევლისთვის არ გადაუციათ. მღვდელი პერიოდულად ჩამოდიოდა თბილისიდან და წირვას კერძო სახლებში ატარებდა. 1989 წელს ქალაქის მთავრობამ შენობა მართლმადიდებელ ეკლესიას გადასცა. 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები, რის შედეგადაც დიდწილად წაიშალა კათოლიკური ხუროთმოძღვრების კვალი და მთლიანად განადგურდა ფრესკები.

ქუთაისის კათოლიკური ტაძარი

ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიას წარსულში მრავალი სალოცავი ჰქონდა. ამჟამინდელი ნაგებობის მშენებლობა დაიწყო 1819 წელს და უსახსრობის გამო 40 წელზე მეტხანს გაგრძელდა. ეკლესია უმანკო ჩასახვის სახელზეა აგებული. საბჭოთა ხელისუფლებამ ტაძარი ჯერ დახურა, შემდეგ საწყობად, ბოლოს კი საკონცერტო დარბაზად აქცია. 1989 წლიდან იგი მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცა. ეკლესია აშენებულია 1803 წელს, მეფე სოლომონისა და მარიამ დედოფლის მიერ კათოლიკე მისიონერებისთვის ნაჩუქარ მიწაზე, რისი დამადასტურებელი საბუთიც შემონახულია.

ბათუმის კათოლიკური ტაძარი

ბათუმის კათოლიკური ტაძარი აშენდა 1889-1903 წლებში, ზუბალაშვილების დაფინანსებით. საბჭოთა პერიოდში ეკლესია დაიხურა და სხვადასხვა მიზნით გამოიყენებოდა (მაღალი ძაბვის ელექტროსადგური, არქივი და სხვ). 1970 წელს შენობა გარემონტდა და 1980 წელს გადაეცა მართლმადიდებელ ეკლესიას.

უდის კათოლიკური ტაძარი

კათოლიკური ეკლესია უდეში აშენდა 1904-1906 წლებში, ადგილობრივი კათოლიკეების მიერ, იქ მცხოვრები მუსლიმების დახმარებით, რაც დადასტურებულია შენობაზე არსებული წარწერებით. 1930-იან წლებში მღვდლები დააპატიმრეს და ეკლესია კოლმეურნეობის საწყობად აქციეს. 1990-იანი წლებიდან ხელისუფლებამ შენობა მართლმადიდებელ ეკლესიას გადასცა. მას შემდეგ ეკლესია მართლმადიდებლებს უკავიათ. 2012 წელს ძველი კედლის გალავანი დაანგრიეს და ახალი ააშენეს - ორნამენტებით დამშვენებული ძველი ქვები გაქრა და აშენდა სამრეკლო. მოგვიანებით გუმბათი გადააკეთეს, თუმცა, კათოლიკეთა პროტესტის შედეგად, მისი ბოლომდე შეცვლა ვერ მოხერხდა. სისტემატურად ხდება ჩარევები კათოლიკური კვალის (შიდა მოხატულობა) წასაშლელად.

ივლიტის კათოლიკური ეკლესია

ივლიტის კათოლიკური ეკლესია ძალიან ძველია და მისი აგების თარიღიც უცნობია. იგი მდებარეობს ქალაქ ახალციხის მიდამოებში. ომებითა და ხანძრით გამოწვეული ზიანის შემდეგ, ეკლესია რამდენჯერმე აღადგინეს. კედლებში მიმოფანტული უძველესი ქვები ცხადყოფს, რომ იგი რამდენჯერმე იქნა გადაკეთებული, ბოლოს - მე-19-20 საუკუნეებში. შენობა მართლმადიდებელმა ეკლესიამ აიღო იმ პირობით, რომ ქართველი კათოლიკე მღვდლის ჩამოსვლამდე კათოლიკეებს მოემსახურებოდნენ, შემდეგ კი შენობას დააბრუნებდნენ. თუმცა, კათოლიკე მოიჯარეები წარუმატებლად მოითხოვდნენ თავიანთი უფლებების დაცვას. დღეისთვის სახურავი ჩამონგრეულია. რამდენიმე წლის წინ მოეწყო ახალი ბეტონის იატაკი, რამაც სამუდამოდ დაფარა იქ დაკრძალული მღვდლების საფლავები.

ბუზმარეთის კათოლიკური ეკლესია

ბუზმარეთის კათოლიკური ეკლესია მდებარეობს უდიდან რამდენიმე კილომეტრში, ტყეში, თურქეთთან სადემარკაციო ზონაში. ამაღლების დღესასწაულზე ადგილობრივი მოსახლეობა ეკლესიის მოსალოცად მიდის ხოლმე. ეკლესია ძველია, მისი აშენების თარიღი კი დავიწყებული. თუმცა ცნობილია, რომ უკანასკნელ პერიოდში იგი გარემონტებულ იქნა კათოლიკე ოჯახების მიერ. ამჟამად შენობა მართლმადიდებელ ეკლესიას უკავია.

ოჯახების ზეიმი წეროვანში

3 ივნისს საოცარი დილა, მზე და „თავშეკავებული“ ღრუბლები გვსტუმრობდნენ წეროვანის შეხვედრების სახლში. თანდათან ივსებოდა ეზო სტუმრებით, იყო მონატრებისა და მოფერების შეძახილები, ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ მეგობრები, მოხალისეები, ორგანიზატორები, პარტნიორები. როცა მეუფემ ოფიციალურად გამოაცხადა ზეიმის დაწყება, სემინარისტმა ილია შაბაშვილმა, როგორც ყოველთვის, მხიარულებაში შესაშური აქტივობით აიყოლია ყველა მონაწილე. შემდეგ, ეპისკოპოსთან ერთად, ჩავერთეთ განძის მაძიებელ თამაშში, ბუნებაში მიმობნეული გარკვეული ნივთების პოვნით, დღის თემის შესაბამისი სიტყვების აღმოსაჩენად. გამარჯვებულმა გუნდმა ეს სამი სიტყვაც გაახმოვანა: „გმადლობთ!“ „ბოდიში!“ „თუ შეიძლება?“.

შეხვედრის მთავარი თემა - „მადლიერება ღმრთისა და ოჯახის მიმართ“ მამა ჯუზეპესა და მამა აკაკის არაჩვეულებრივი ერთობით შედგა. კიდევ ერთხელ მთელი პასუხისმგებლობით ჩავუფიქრდით მადლიერების ამ საოცარ გრძნობას, მისთვის დამახასიათებელ სიკეთეს და ღრმა ადამიანურ ფასეულობას, საოცრად გადამდები თვისება რომ გააჩნია.

ტრადიციულად, ჯვრისწერის საიუბილეო თარიღი აღნიშნა შვიდმა წყვილმა და გვირგვინის დადგმითა და სამადლობელი ლოცვით განაახლა ამ საიდუმლოს სილამაზე. რა თქმა უნდა, იყო სამახსოვრო საჩუქრებიც. სპეციალურად მოწვეული გერმანელი წყვილი კი საკუთარი ოჯახის ღირებულებებსა და ისტორიაზე ესაუბრა მსმენელს.

შემდეგ, როცა პატარების ჯერიც დადგა, „ახალგაზრდული ცენტრის“ მოხალისეების ორგანიზებით, მათ თავიანთი ნახატებით თქვეს სათქმელი და ინსცენირებაც წარმოადგინეს იმ სამი ჯადოსნური სიტყვის გამოყენებით, ყველა კარს რომ აღებს და არაფერს გაგიჭირვებს.

ჩვენი კათოლიკური ფესვების პატივსაცემად, კიდევ სამი ახალი ნერგი აშრიალდება წეროვანის სიმწვანეში და წლების შემდეგ იტყვის ჩვენს ისტორიას.

დღეს კი ბავშვებმა დღევანდელი ,,სურვილები შეაბეს“ საჰაერო ბუშტებს, გზა დაულოცეს და ასასრულებლად ზეცას მიაბარეს!

ეს დღეც სასიამოვნოდ დასრულდა... ხელახალი, უფრო მრავალრიცხოვანი შეხვედრის სურვილით დავემშვიდობეთ ერთმანეთს...

მართლმადიდებელ და რომის კათოლიკე ეკლესიებს შორის დიალოგი გაიმართა

2023 წლის 1-7 ივნისს ალექსანდრიის საპატრიარქოში მართლმადიდებელ და რომის კათოლიკე ეკლესიებს შორის საღვთისმეტყველო დიალოგი გაიმართა. ოცდაოთხ მართლმადიდებელ და თვრამეტ კათოლიკე მონაწილეს, კარდინალებს, მიტროპოლიტებს, უხუცესებსა და საერო ღვთისმეტყველებს მიესალმა ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პატრიარქი თეოდოროს II. დიალოგში მონაწილეობას იღებდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე) და პროტოპრესვიტერი, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე.

პატრიარქმა თეოდოროს II-მ განაცხადა: „საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საღვთისმეტყველო დიალოგი საჭიროებს კულტივირებას, წინსვლასა და სრულყოფას ყველა დონეზე, გულწრფელობით, პატიოსნებითა და ურთიერთპატივისცემით. კონტაქტები, საუბრები, ურთიერთგაგება და დიალოგი მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელი ნაწილია. ორ ეკლესიას შორის სასულიერო დიალოგმა გვიჩვენა, რომ უნდა შეიქმნას ურთიერთნდობისა და კეთილი ნების, თავისუფლებისა და სიყვარულის პირობები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია“.

მართლმადიდებელ და რომის კათოლიკე ეკლესიებს შორის დიალოგის საერთაშორისო საღვთისმეტყველო გაერთიანებული კომისიის თანათავმჯდომარემ, კარდინალმა კურტ კოხმა ალექსანდრიის პატრიარქს პაპ ფრანცისკეს სახელით ძვირფასი საჩუქარი გადასცა - ასლი საძირკვლის ქვისა, რომელიც პაპმა ალექსანდრე VII-მ 1657 წლის 28 აგვისტოს რომში წმიდა პეტრეს მოედნის მშენებლობის დაწყებისას დადო. კარდინალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „იშვიათად ხდება, როცა პაპი თავისი წარმომადგენლის მეშვეობით წმიდა საყდრის გარეთ საჩუქარს აგზავნის“.

სხდომის დასასრულს ალექსანდრიის პატრიარქმა, თეოდოროს II-მ მართლმადიდებელ მიტროპოლიტებს, კათოლიკე კარდინალებს, მღვდლებსა და საერო ღვთისმეტყველებს მადლობა გადაუხადა. პატრიარქმა განაცხადა: „ჩვენ ვადიდებთ სამებას ამ ისტორიული, საღვთისმეტყველო შეხვედრით, რომელიც წარმატებით დასრულდა ერთსულოვნად, მღელვარებითა და დიდი სიხარულით. ჩვენს დროში არის აზრთა სხვადასხვაობა, მცირე სიმპათიები და უაზრო დაპირისპირებები, რაც ტკივილს აყენებს ჩვენს მშფოთვარე სამყაროს, ისევე როგორც ეკლესიას, რომელსაც სწყურია მშვიდობა, ერთიანობა და სიყვარული... როგორც ისტორიამ აჩვენა, ორ ეკლესიას შორის მშვიდობიანი, საფუძვლიანი, ნაყოფიერი და კურთხეული დიალოგის ეს მოვლენა კეთილი ნების გამოხატულებისა და თანამშრომლობის ნათელი მაგალითია. ამრიგად, ეს იძლევა ურთიერთგაგების, თავმდაბლობისა და სოლიდარობის უკეთესი მომავლის იმედს“.

 ნუგზარ ბარდაველიძე

სატაძრო მშენებლობის აღორძინება

ისტორიული წყაროების თანახმად, ლათინური წესის პირველი ტაძარი თბილისში 1240 წელს დაფუძნებულა, თუმცა ამ ნაგებობის შესახებ არანაირი სხვა ინფორმაცია არ მოიპოვება. XIV საუკუნეში საეპისკოპოსო კათედრაც დაარსდა თბილისში, კათოლიკური ტაძარი ამავე ეპოქაში ცხუმშიც მოქმედებდა, XVII-XIX საუკუნეებში კათოლიკური მისიები მოქმედებდნენ თბილისში, გორში, ქუთაისში, ონში, გურიისა და ოდიშის სამთავროებში, მათ შესახებ ერთობ მწირ ინფორმაციას გვაწვდის კასტელის ჩანახატები, თუმცა არანაირი მატერიალური არტეფაქტი საქართველოში იმ ეპოქის კათოლიკური არქიტექტურის შესახებ არ მოგვეპოვება. ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ თბილისის ლათინთა უბანში არსებული კათოლიკური სამლოცველო XVIII საუკუნის 50-იანი წლების ბოლოსათვის ქართლში აგორებული ანტიკათოლიკური კამპანიის დროს მართლმადიდებლებს გადაეცათ, თუმცა არც ამ ნაგებობის შესახებ არის მატერიალური ნაშთები შემორჩენილი.

საქართველოში კათოლიკური სატაძრო არქიტექტურის შესახებ მხოლოდ XIX საუკუნის სატაძრო ნაგებობების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ: ერთი მხრივ, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და სოფელ უდის მონუმენტური ტაძრები და, მეორე მხრივ, შედარებით მცირე ზომის ტიპური არქიტექტურის ტაძრები, ძირითადად, სამხრეთ საქართველოს ლათინური და სომხური წესის კათოლიკეებით დასახლებულ სოფლებში. ყველა ეს ტაძარი მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისშია აგებული. მათ შორის ყველაზე ადრინდელი ნაგებობა თბილისის ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების ტაძარია, რომელსაც 220 წლის წინ ჩაეყარა საფუძველი.

გასული საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიების შედეგად სამხრეთ კავკასიაში ყველა კათოლიკური ტაძარი და სამლოცველო დაიკეტა, გარდა თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრისა. 80-იანი წლების ბოლოს კი, როდესაც რელიგიური გამოღვიძება დაიწყო, სხვადასხვა სუბიექტურ მიზეზთა გამო, არქიტექტურულ-ისტორიულ და რელიგიურ-საკულტო თვალსაზრისით ყველაზე გამორჩეული და ღირებული ხუთი სატაძრო ნაგებობა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთს კათოლიკე მრევლი არაფორმალურად საკულტო მიზნებისთვის ათწლეულების

მანძილზე იყენებდა, დომინანტურ კონფესიას გადაეცა. ამ სავალალო გარემოების გამო ხანგრძლივი ისტორიის მქონე მრავალრიცხოვანი კათოლიკური სამრევლოები სატაძრო ნაგებობის გარეშე დარჩნენ. სამლოცველო არ გააჩნდათ, ასევე, გასული საუკუნის პირველ ათწლეულებში სამცხე-ჯავახეთიდან მცირემიწიანობის გამო კახეთში, ქართლში, იმერეთში გადასახლებულ და კომპაქტურად მკვიდრ კათოლიკეებს, რომლებიც ანტირელიგიური რეჟიმის დროსაც მტკიცედ ინარჩუნებდნენ კონფესიურ მიკუთვნებულობას.

ჩამორთმეული სატაძრო ნაგებობების გარდა, ახალი სამლოცველოების გახსნის აუცილებლობა გაჩნდა გასული საუკუნის 90-იან წლებში აღმოცენებულ კათოლიკურ თემებშიც. სამოციქულო ადმინისტრაციის ძალისხმევისა და მორწმუნეთა სულიერი მოთხოვნილების გათვალისწინებით, სრულიად ახალი კათოლიკური საკრებულოების ფორმირების შეუქცევადი პროცესი დაიწყო იმ დასახლებულ ადგილებში, სადაც კათოლიკური თემი მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის მიგრაციული პოლიტიკის შედეგად ჩამოყალიბდა, მაგალითად, გურიის სოფლებში, ჭიათურასა და რუსთავში...

ახალი ტაძრების აგების აუცილებლობა, კათოლიკე სასულიერო პირების მწვავე დეფიციტთან ერთად, საქართველოში ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციის დაფუძნების პირველსავე ეტაპზე, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა. მართალია, კათოლიკე მღვდელმსახურები ყოველკვირეულად ჩადიოდნენ თუნდაც სულ მცირერიცხოვან მრევლთან და ღმრთისმსახურებასა და სარიტუალო მომსახურეობას ეწეოდნენ, მაგრამ წმიდა წირვებს, რომლებიც, როგორც წესი, უმთავრესად მორწმუნეთა ბინებში აღევლინებოდა, მრევლის დიდი ნაწილი არ ესწრებოდა იმ სუბიექტური მიზეზით, რომ არასაეკლესიო ნაგებობაში ლოცვაზე დასწრების გამო, შესაძლოა, ისინი ნაცნობ-მეზობლებს სექტანტებადაც მოეხსენებინათ.

ამ უმთავრესი პრობლემის გადასაჭრელად სამოციქულო ადმინისტრაციამ შექმნის პირველივე წლებიდან დიდი ძალისხმევა გამოიჩინა. სამოციქულო ადმინისტრატორი, სამრევლო წინამძღვრებთან ერთად, გეგმაზომიერად, დიდი პრინციპულობით, ადგილობრივი ტრადიციებისა და თანამედროვე არქიტექტურულ-საინჟინრო გამოწვევების გათვალისწინებით, ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებითა და საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან კავშირების გამოყენებით, საკმაოდ კრეატიულად მიუდგა საქართველოში ახალი კათოლიკური არქიტექტურული და სარესტავრაციო ნორმების შემუშავებასა და სატაძრო მშენებლობის აღორძინებას. ახალი ტაძრის აგების, ან არსებული ნაგებობის რესტავრაციისათვის სამოციქულო ადმინისტრატორი, უშუალოდ ტაძრის წინამძღვართან, ტენდერში გამარჯვებულ არქიტექტორთან

და ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით, ადგენდა და ამტკიცებდა კონკრეტულ პროექტს, შემდგომ იწყებოდა მშენებლობასთან დაკავშირებული სრული პროცესი. მშენებლობის დროს არქიტექტორს, მშენებელ-ინჟინრებს ან რესტავრატორებს სისტემატურ სათანადო ლიტურგიულ კონსულტაციებსა და მონიტორინგს უწევდა მამა გაბრიელე ბრაგანტინი. ასევე, სატაძრო მშენებლობის ხელშეწყობისათვის სამოციქულო ადმინისტრაციასთან შეიქმნა სპეციალური ლოჯისტიკური ცენტრი, რომელიც უშუა-

ლოდ სამშენებლო პროცესებში იყო ჩართული.

თუ გადავხედავთ სამოციქულო ადმინისტრაციის პოლიტიკას ტაძრების აგება-რესტავრაციის დროს, ორ პრინციპულ მიმართულებას აღმოვაჩენთ: ესაა ახალი ტაძრების აგებისას თანამედროვე სტილის გამოყენება, ხოლო რესტავრაციის დროს შედარებით არქაული ფორმებისა და ელემენტების წარმოჩენა. ეს პრინციპები წარმოადგენს მე-20 საუკუნის ევროპული საკულტო არქიტექტურის განმსაზღვრელ მახასიათებელს, რომელიც გამოჩენილმა ხუროთმოძღვარმა,

არქიტექტურული მოდერნიზმისა და ფუნქციონალიზმის ფუძემდებელმა, ლე კორბუზიემ ჩამოაყალიბა და თითქმის შვიდი ათწლეულია მთელ მსოფლიოში საკულტო არქიტექტურის მთავარ სტილად დამკვიდრდა. მსოფლიო მასშტაბით, სატაძრო ნაგებობების ფასადისა და ინტერიერის თანამედროვე მხატვრულ-ფუნქციური გადაწყვეტის საეტაპო ძეგლად გვევლინება ლე კორბუზიეს მიერ საფრანგეთში აგებული რონშანის ტაძარი, რომელმაც საფუძველი დაუდო მოდერნულ საკულტო არქიტექტურას. ამ პრინციპის გათვალისწინებით, ხუროთმოძღვრები ცდილობენ წარმოგვიდგინონ თანამედროვე ეპოქის შესაფერისი, თანამედროვე სამშენებლო მასალების გამოყენებით აგებული ტაძრები და არა საეტაპო, მაგრამ წარსულის ძეგლების მიბაძვითა და კოპირებით შექმნილი, ვითომ თანამედროვე ნაგებობები. მართლაც, 21-ე საუკუნეში რომანული, ფსევდომონუმენტური ხუროთმოძღვრების მიბაძვით აგებული ტაძრები უფრო არქიტექტურულ პაროდიას წარმოადგენენ, ვიდრე ხელოვნების ნიმუშებს და ვერანაირად ვერ გადმოგვცემენ თანამედროვე ეპოქის სულს, გამოწვევას და ხატსახებას. ჩვენდა სასახელოდ, საქართველოში ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციისათვის ტაძართმშენებლობის პოლიტიკის ორიენტირი სწორედ ეს, ევროპაში აპრობირებული მეთოდი გახდა პრიორიტეტული.

საქართველოში სამოციქულო ადმინისტრაციის თაოსნობითა და დაფინანსებით, 1998 წელს იმერეთში, ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენში, აიგო **პირველი ტაძარი „ქრისტე - სამყაროს მეფის“ სახელზე**, რომლის პირველი წინამძღვარიც უშუალოდ სამოციქულო ადმინისტრატორი გახლდათ. სოფელი ახალშენი მესხი კათოლიკე თემის მიერ დაფუძნდა მე-20 საუკუნის დასაწყისში. 90-იან წლებში, როდესაც სტიგმელმა მამებმა ქუთაისში თავიანთი მისია დააფუძნეს, იმთავითვე დაიწყეს მთელ დასავლეთ საქართველოს რეგიონში, კათოლიკე მორწმუნეებით დასახლებულ უბნებში, კათოლიკური საკრებულოების ჩამოყალიბება. მათი გამართული ფუნქციონირებისთვის, ადგილობრივი მოსახლეობის მენტალიტეტის გათვალისწინებით, პირველი მოთხოვნა ტრადიციული ქრისტიანული საკულტო არქიტექტურის მქონე ტაძრის აგება იყო. ასე დაიგეგმა ახალშენის ტაძრის პროექტი და, სოფლის მოსახლეობის ჩართულობით, ეკლესია სულ მალე იკურთხა. ცერემონიაში ვატიკანიდან სპეციალურად ჩამობრძანებული მაღალი სასულიერო იერარქებიც იღებდნენ მონაწილეობას. ასე რომ, სამოციქულო ადმინისტრაციის მიერ აგებულ ტაძარს, გარდა სულიერი ფუნქციისა, ფართო რეზონანსიც მოჰყვა. ეს გახლდათ დასტური ქვეყნის შიგნით და კათოლიკური სამყაროსთვისაც, რომ ახლად დაფუძნებული ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაცია, მძიმე სოციალური ფონის მქონე ქვეყანაში, სადაც კათოლიკე მრევლი მოსახლეობის ერთ პროცენტსაც არ შეადგენს და,

პოსტსაბჭოთა სინდრომის გამო, საკმაოდ მარგინალურ მდგომარეობაში იმყოფება, ყოველგვარი წინააღმდეგობების მიუხედავად, მორწმუნეთათვის ახალ, არქიტექტურულად საკმაოდ თამამ და ფუნქციურად დატვირთულ ტაძარს აგებს.

დღეს, ხელოვნებათმცოდნის გადასახედიდან, ახალშენის ტაძრის საერთო არქიტექტურულმა ფორმებმა შეიძლება კრიტიკაც გამოიწვიოს, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ნაგებობის ცალკეული ელემენტების პროპორციები დარღვეულია, რის გამოც მისი მთლიანი ესთეტიკური სახე სრულ ჰარმონიულ განწყობას არ ტოვებს, მაგრამ დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ტაძრის სრული კონსტრუქციაც და ფასადის იერსახეც ინდივიდუალობითა და თვითმყოფადობით გამოირჩევა და მნახველს ახალშენის ტაძრის არქიტექტურული ფასადის ფორმები არცერთ სხვა ტაძარში არ აერევა.

თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების ტაძარი გამორჩეულია თავისი ისტორიით, არქიტექტურით, ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ის 1999 წლიდან, როდესაც მისი ხელახალი კურთხევა აღესრულა, ადგილობრივი კათოლიკე ეკლესიის საკათედრო ტაძრად დაფუძნდა. ეს ნაგებობა აგების დროიდანვე ერთ-ერთი გამორჩეული არქიტექტურული ძეგლი გახლდათ თბილისში; სამწუხაროდ, გასული საუკუნის 30-იან წლებში ტაძარი ხელისუფლებამ დახურა და იგი ათწლეულების მანძილზე არამიზნობრივად გამოიყენებოდა. მორწმუნეთა ძალისხმევით გადარჩა ამ ტაძრის ფერწერული ნამუშევრები, რომლებიც წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში იქნა გადატანილი. ცალკეული ადამიანების ძალისხმევით, 80-იანი წლების ბოლოს, შესაძლებელი გახდა სატაძრო ნაგებობის გასხვისებისაგან დაცვა, ხოლო სამოციქულო ადმინისტრაციის შექმნის შემდგომ, ნაგებობა კათოლიკეთა ადმინისტრაციას გადაეცა, რომლის მიერ გამოსყიდულ იქნა ტაძრის ეზოში მდებარე ნაგებობების ნაწილი, რომელიც ტაძრის ჩამორთმევამდე სამრევლო საბჭოს კუთვნილებას წარმოადგენდა და ისტორიული მნიშვნელობა გააჩნდა. კომპლექსი სამოციქულო ადმინისტრატორის რეზიდენციად შეირჩა და მასზე უშუალო ზრუნვა მეუფე ჯუზეპემ ითავა. ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების ტაძარზე სამოციქულო ადმინისტრატორის ზრუნვა კურთხევის შემდგომაც არ დასრულებულა და, შეიძლება ითქვას, ნაგებობა მუდმივად მშვენიერდება. ტაძრის მოწყობისთვის სამოციქულო ადმინისტრატორმა თავისი უცხოური კავშირებიც მაქსიმალურად ჩართო, მაგალითად, ეკლესიის ინტერიერში განლაგებული მასიური ხის მერხები ეპისკოპოსის მშობლიური ქალაქის, ბოვოლონეს (ქალაქი მთელ იტალიაში გამოირჩევა თავისი ხის ნაწარმით) საჩუქარია, ხოლო ტაძრის ბრინჯაოს ზარი - პოლონეთის პრეზიდენტის სახსოვარი. სამოციქულო ადმინისტრატორის უშუალო ძალისხმევით ტაძარი ოთხი მონუმენტური ვიტრაჟით დამშვენდა, ადგილობრივი ტრადიციის გათვალისწინებით, სპეციალურად დაიწერა და ინტერიერში გამოიფინა ბიბლიურ სიუჟეტებზე შექმნილი 40 ხატი. ძველი ესკიზების მიხედვით ქვისგან გამოიკვეთა არქაული ტიპის ჯვარი, რომელიც იმჟამად სემინარისტმა, მამა მიხეილ სურმავამ აღმართა ტაძრის სახურავის ქიმზე. ტაძრის წინამძღვარმა, მამა ანჟეიმ ეკლესიის ეზოს დეკორატიული მცენარეებით გამწვანებაში მიიღო მონაწილეობა და ლურდის ღვთისმშობლის ქანდაკებით დამშვენებული მღვიმეც მოაწყო. ასე რომ, საკათედრო ტაძარი სამოციქულო ადმინისტრაციისა და მრავალი სასულიერო პირის ერთობლივი შრომისა და ღვაწლის თვალსაჩინო სიმბოლოა.

თავისი არსებობის მანძილზე ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების თბილისის საკათედრო ტაძარი ჩვენს ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტით მყოფ მრავალ მაღალი რანგის სტუმარს მასპინძლობდა, ყველაზე გამორჩეული ვიზიტი კი 2016 წელს რომის პაპ ფრანცისკეს სტუმრობა გახლდათ.

გაგრძელება იქნება

კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში

საქართველოში რომის კათოლიკე ეკლესიასთან არსებული კულტურისა და საეკლესიო ერთიანობის კომისიის ინიციატივით 2017 წელს საფუძველი ჩაეყარა საქართველოში კათოლიკური მემკვიდრეობის კვლევისამი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმებს. ამ სამეცნიერო ფორუმმა თავიდანვე დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მეცნიერ-მკვლევრებში. სიმპოზიუმზე წაკითხული მოხსენებები ცალკეულ კრებულებად გამოიცემა და დიდ დახმარებას უწევს საქართველოში კათოლიკობის ისტორიით დაინტერესებულ საზოგადოებას.

კოვიდპანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა სამეცნიერო ფორუმის ორგანიზებაში ერთწლიანი წყვეტა გამოიწვია, თუმცა ორგანიზატორების ძალისხმევით 2021 წლიდან ჰიბრიდული ფორმატით მაინც შესაძლებელი გახდა კათოლიკური მემკვიდრეობის კვლევისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმების განახლება და მიმდინარე წლის 7-8 ივნისს უკვე მეექვსედ უმასპინძლა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა კათოლიკური მემკვიდრეობის შესწავლისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმს. წლევანდელი სიმპოზიუმი მიეძღვნა საქართველოში ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციის დაფუძნების 30-ე წლისთავს.

სიმპოზიუმი გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, მამა აკაკი ჭელიძემ, მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ უნივერსიტეტის დამფუძნებელი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, წმიდა საყდრის დესპანი საქართველოსა და სომხეთში, არქიეპისკოპოსი ჟოზე აველინო ბეტენკური. შემდგომ პროფესორმა მერაბ ღაღანიძემ წარადგინა მისი რედაქტორობით გამოცემული 2023 წელს წაკითხული სამეცნიერო მოხსენებების მეხუთე კრებული.

საქართველოში ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციის ოცდაათწლიანი საქმიანობა თავის ვრცელ გამოსვლაში შეაჯამა პროფესორმა ნუგზარ ბარდაველიძემ; მამა გაბრიელე ბრაგანტინის მოხსენება საქართველოში რომის პაპების ორ ისტორიულ ვიზიტს ეძღვნებოდა; თეოლოგიის დოქტორმა, დეკანოზმა ზურაბ კაკაჩიშვილმა ისაუბრა პოლონეთში გამოცემულ თავის წიგნზე ,,ქრისტეს მოწმენი საქართველოში IV-X საუკუნეებში“. შემდგომ სალელ დედათა საბავშვო ცენტრის აღსაზრდელებმა თავიანთი შემოქმედება წარმოადგინეს.

მეორე დღეს პირველი პანელი ისტორიულ თემას მიეძღვნა; პროფესორ მურმან პაპაშვილის მოხსენება მეფე ერეკლე I-სა და კათოლიკობას ეხებოდა; პროფესორების, სერგო ვარდოსანიძისა და დავით მერკვილაძის მოხსენებებში საკმაოდ ემოციურად იქნა გაანალიზებული მე-17 საუკუნეში დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ტყვეთა სყიდვა და ამ მავნე სენისადმი კათოლიკე მისიონერების კრიტიკული დამოკიდებულება. პროფესორმა ელისაბედ მაჩიტიძემ თავის მოხსენებაში წარმოაჩინა სტამბოლის კათოლიკურ სათვისტომოში აღზრდილი კათოლიკე ქართველების ღვაწლი.

ფრანგი მკვლევრის ელისაბედ რიშარის მოხსენება ეხებოდა თეატინელთა ორდენის წევრს, ქრისტიანობისათვის წამებულ გორელ ანდრიას, რომელიც XVII საუკუნეში, ინდოეთის ქალაქ გოაში აწამეს. ამ მოხსენებამ ერთგვარად გაგვახსენა პირველ სიმპოზიუმზე იტალიელი მკვლევრის კარლო ვურაკის მოხსენება, რომელიც ასევე ინდოეთში მოწამებრივად აღსრულებულ დემეტრე თბილელს ეძღვნებოდა. მართლაც, თუ 2017 წელს ჩატარებულმა პირველმა სიმპოზიუმმა სტიმული მისცა XIV საუკუნეში მოწამე დემეტრე თბილელის ხელახალ აღმოჩენას, ელისაბედ რიშარის მოხსენებამ შეიძლება საფუძველი ჩაუყაროს XVII საუკუნეში მოღვაწე გორელი მოწამის, ანდრიას ხელახალ აღმოჩენას და ეს კათოლიკური მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმის კიდევ ერთი პრაქტიკული შედეგი იქნება.

ედუარდ პროფიტლიხი SJ: მოწამე ბეატიფიკაციის გზაზე

არქიეპისკოპოსი ედუარდ პროფიტლიხი SJ, ,,შეიძლება გამხდარიყო კათოლიკე ეკლესიის პირველი წმიდანი ესტონეთში და ამიტომ ის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია", - განაცხადა ესტონეთის სამოციქულო ადმინისტრატორმა, ეპისკოპოსმა ფილიპ ჟურდანმა, წმ. იოსების დღესასწაულის წინადღით (03/18/2019), რომში, როდესაც მან, ეპარქიის პოსტულატორთან, მარჯი-მარია პაასთან ერთად, ვატიკანს წარუდგინა დოკუმენტები „რეფორმაციის შემდეგ ესტონეთის პირველი ეპისკოპოსის" ბეატიფიკაციისათვის.

ედუარდ პროფიტლიხი წარმოშობით ბონის სამხრეთით მდებარე ქალაქ გრაფშაფტიდან (Grafschaft) იყო. იგი დაიბადა 1890 წლის 11 სექტემბერს გერმანიის იმპერიის ქალაქ ბაიერსდორფში (Baiersdorf). 1912 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა ქალაქში Linz am Rhein, შემდეგ კი შევიდა სემინარიაში ქალაქ ტრირში. მის მშობლებს სურდათ, რომ ედუარდი გამხდარიყო ეპარქიის მღვდელი, რათა დახმარებოდა მათ საგანგებო სიტუაციებში, მაგრამ 1913 წლის 11 აპრილს იგი შეუერთდა იესოს საზოგადოებას s-Heerenberg-ში (ნიდერლანდები), სადაც დასახლდნენ გერმანელი იეზუიტები.

პირველი მსოფლიო ომის დროს, 1916-18 წლებში, ედუარდი მსახურებდა სანიტრად და ქირურგის ასისტენტად. 1916 წლის იანვარში იგი ტრირის ტაძარში ხელდასხმულ იქნა სუბდიაკვნად (ლათ. subdiaconus). ომის შემდეგ ედუარდ პროფიტლიხმა დაასრულა ფილოსოფიური და თეოლოგიური კურსი ვალკენბურგში და 1922 წლის 27 აგვისტოს მღვდლად ეკურთხა. იმავე წელს პაპმა ,,აღმოსავლური ინსტიტუტი" გადასცა იეზუიტთა ორდენს, ხოლო ედუარდ პროფიტლიხი, ორდენის ხელმძღვანელ ლედუხოვსკის მოწვევით, ჩაეწერა ,,რუსულ მისიაში". კრაკოვში მას მიენიჭა ფილოსოფიისა და თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. თუმცა, რუსეთში განვითარებულმა მოვლენებმა მას არ მისცა ამ ქალაქში მოქმედების საშუალება. ამიტომ ედუარდი 1925-28 წლებში გაგზავნილ იქნა ქალაქ ოპოლში, რათა ემსახურა როგორც მისიონერს, სულიერ წინამძღვარსა და მქადაგებელს. მოულოდნელად, 1928 წლის მარტში, ორდენმა იგი ჰამბურგში გადაიყვანა, სადაც ,,პატარა მიქაელის" ეკლესიაში ედუარდს მიენდო ძირითადად პოლონელი მრევლის მსახურება. შრომისმოყვარეობისა და ხალხისადმი ერთგული მსახურების გამო მან დიდი პატივისცემა დაიმსახურა. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ 1930 წლის 4 დეკემბერს სამოციქულო ადმინისტრატორმა იგი ტალინში წმიდა პეტრესა და წმიდა პავლეს სამრევლოს წინამძღვრად დაადგინა.

უკვე 1931 წლის მაისში პროფიტლიხი დაინიშნა ესტონეთის სამოციქულო ადმინისტრატორად. ესტონეთის საზოგადოებამ, რომელიც ძირითადად ლუთერული იყო, ძალიან მალე მიაპყრო ყურადღება ,,ახალბედას". განსაკუთრებით დიდი პატივისცემით სარგებლობდა პროფიტლიხის საეკლესიო გაზეთი ,,Kiriku Elu" (,,საეკლესიო ცხოვრება"), რომელიც ყოველთვიურად გამოდიოდა. მასში მოცემული იყო ინფორმაცია კათოლიკე ეკლესიის შესახებ მსოფლიოში, სტატიები კატეხეზურ, ლიტურგიკულ თემებზე, რომელიც მიზნად ისახავდა რწმენის გავრცელებასა და განმტკიცებას, რასაც ყველა ხალისით კითხულობდა, განსაკუთრებით კი ესტონელი ინტელიგენცია. მორწმუნეთა რიცხვი გამუდმებით იზრდებოდა, 1941 წლამდე ხუთი ახალი სამრევლო დაარსდა ესტონეთში, როცა იქ ჩავიდნენ იეზუიტები, ასევე კაპუცინები ძველი და ახალი ოტინგიდან (გერმ. Otting - კომუნა გერ-

მანიაში, ბავარიის მიწაზე), რომელთაც გადასცეს საკრებულო ტარტუში, ჩეხეთიდან კი - მონაზვნები, რომლებიც დღემდე მსახურებენ ტარტუს სამრევლოში. პროფიტლიხი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდებს, ატარებდა რელიგიის გაკვეთილებს ხუთ ენაზე; მან დააარსა ბავშვთა სახლი, ასევე ვაჟთა ინტერნატი კათოლიკურ სკოლასთან, სადაც არაკათოლიკეებიც კი ნებით აგზავნიდნენ თავიანთ შთამომავლებს.

პროფიტლიხის მრავალმხრივი დიპლომატიური ძალისხმევის წყალობით, 1935 წლის ივლისში ტალინში დაარსდა სამოციქულო ადმინისტრაცია, თავად პროფიტლიხი კი დაინიშნა არქიეპისკოპოსად. მისი კურთხევა შედგა 1936 წლის 27 დეკემბერს წმიდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს კათოლიკურ ეკლესიაში. ახალ მთავარეპისკოპოსს, რეფორმაციის შემდეგ პირველ კათოლიკე ეპისკოპოსს, მოუხდა მრავალი დაბრკოლების გადალახვა მრავალენოვან და მრავალკულტურულ ქვეყანაში. შემდეგ ჰიტლერი და სტალინი გამოჩნდნენ მსოფლიო არენაზე; საბჭოთა რელიგიური კანონები ახლა ესტონეთშიც მოქმედებდა. პროფიტლიხი, რომელიც 1935 წლიდან ესტონეთის მოქალაქე იყო, გერმანიის საელჩოს პირობების თანახმად, გერმანიაში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ მან ესტონეთში დარჩენა არჩია. როდესაც პაპმა პიუს XII-მ თავისუფალი არჩევანის უფლება მისცა პროფიტლიხს, რათა თავად მიეღო გადაწყვეტილება, მან განაცხადა: ,,ამ გზას ღვთისადმი უდიდესი ნდობით მივუყვები, მტკიცედ დარწმუნებული იმაში, რომ თუ ღმერთი ჩემი თანმხლები იქნება, მე არასდროს ვიქნები მარტო. და, ასევე, მაქვს დიდი იმედი, რომ მსხვერპლი, რომელსაც გავიღებ ღვთის სამეფოს ინტერესებისთვის აქ, დედამიწაზე, ასე თუ ისე, არ იქნება უნაყოფო...“

1941 წლის იანვარში ყველა კათოლიკე ღვთისმსახურმა დატოვა ესტონეთი, გარდა იეზუიტი პროფიტლიხისა. ივნისში კი შედგა თხუთმეტი ათასი ესტონელის პირველი ფართომასშტაბიანი დეპორტაცია რუსეთის სასჯელაღსრულების ბანაკებში. ყველგან აპატიმრებდნენ საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და ორგანიზაციების ელიტას. 1941 წლის 27 ივნისს, მესამე რაიხის სსრკ-ზე თავდასხმიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ღამის 2 საათზე, НКВД-მ (საბჭოთა კავშირის საიდუმლო პოლიცია) გაჩხრიკა მთავარეპისკოპოსის სახლი და დააკავა იგი. პროფიტლიხი კიროვის ციხეში გადაიყვანეს. მას ბრალი დასდეს მესამე რაიხის სასარგებლოდ ჯაშუშობასა და ანტისაბჭოთა აგიტაციაში. პროფიტლიხი არაერთხელ დაკითხეს, მაგრამ იგი ყოველთვის ამტკიცებდა თავის უდანაშაულობას. სასამართლომ მას დახვრეტა მიუსაჯა, თუმცა, ოფიციალური განცხადების საფუძველზე, იგი გარდაიცვალა ციხეში „დაუძლურების“ გამო, 1942 წლის 22 თებერვალს. განაჩენის სისრულეში მოყვანამდე პროფიტლიხმა შეუნდო თავის მტარვალებს.

ედუარდ პროფიტლიხის დაკავების შემდეგ იეზუიტების ორდენს არ მიუღია ინფორმაცია მისი ადგილსამყოფლის შესახებ. მის წინააღმდეგ სასამართლო პროცესის მასალები მხოლოდ 1991 წელს, სსრკ-ს დაშლის შემდეგ, გახდა ცნობილი. დანაშაულის დამამტკიცებელ საბუთთა უქონლობის გამო უზენაესი სასამართლოს მიერ მოხდა პროფიტლიხის სრული რეაბილიტაცია. ქრისტესადმი ერთგულება მისთვის ცხოვრების ,,ყველაზე მშვენიერი დასასრული“ იყო: ,,ჩემი სიცოცხლე, და თუ საჭიროა, ჩემი სიკვდილი - არის სიცოცხლე და სიკვდილი ქრისტესთვის“. ედუარდ პროფიტლიხი ქრისტესა და ეკლესიისთვის წამებული, ქრისტეს თანამედროვე მოწამეა.

პროფიტლიხის პატივსაცემად მისი სახელი ეწოდა ტარტუს კათოლიკურ საგანმანათლებლო ცენტრს, ხოლო 1990 წლის 11 სექტემბერს ტალინში, წმიდა პეტრესა და წმიდა პავლეს კათოლიკურ ტაძარში გაიხსნა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფა. 2003 წლის 30 მაისს სანკტ პეტერბურგში დაიწყო საეკლესიო პროცედურა არქიეპისკოპოს ედუარდ პროფიტლიხის ბეატიფიკაციისათვის.

 ედუარდ ზახარიანი

წმიდა კამილოს სარეაბილიტაციო ცენტრი

თბილისში მდებარე წმ. კამილოს სარეაბილიტაციო ცენტრი დღეში დაახლოებით ას ორმოცდაათ პაციენტს ემსახურება... მისი მთავარი მიზანია, დაეხმაროს ადამიანებს მათთვის რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან გამკლავებაში. ცენტრში ხელმისაწვდომია როგორც რეაბილიტაცია — თვითმომსახურებასა და სოციალურად დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების აღდგენაზე მიმართული ღონისძიებები, ისე აბილიტაცია — ახალი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პროცესი. ორივე ეს სისტემა მიმართულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ სარეაბილიტაციო ეფექტის მისაღწევად სპეციალისტები შეთანხმებულად მუშაობენ. კამილიელთა სარეაბილიტაციო ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს საზღვარგარეთელ პარტნიორებთან, წარმატებით იყენებს მათ გამოცდილებას, ფლობს თანამედროვე აღჭურვილობას, ზრუნავს თავისი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე და, ზოგადად, სისტემატურ განვითარებაზეა ორიენტირებული.

ცენტრის ხელმძღვანელობა მუდმივად ახორციელებს ღონისძიებებს დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახთა მხარდასაჭერად. ცენტრს არ აქვს ჯანმრთელობის აღდგენის მზა პროგრამები, თერაპია ყოველთვის კონკრეტულ შემთხვევას ინდივიდუალურად ერგება. ინდივიდუალური რეაბილიტაცია ამ სფეროში წარმატების მიღწევის ერთადერთი გზაა. თუმცა ცენტრში ხელმისაწვდომი ყველა სერვისი უფასო არ არის, სახელმწიფო აფინანსებს თერაპიის მხოლოდ იმ ფორმებს, რომელიც სახელმწიფო პროგრამაშია შეტანილი; რეაბილიტაციის სხვა საშუალებებთან, ასევე, სხვა ტექნიკურ დეტალებსა და ინდივიდუალური რეაბილიტაციის სპეციფიკურ ასპექტებთან დაკავშირებულ ხარჯებს კამილიელი მამები იღებენ თავისთავზე. ცენტრს აქვს პატრონაჟული სამსახური, რომლის ფარგლებშიც სპეციალისტები ბავშვებს სახლის პირობებში ემსახურებიან (ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დახმარება, ფიზიკური რეაბილიტაცია). აღნიშნული სტრუქტურა სოციალურად დაუცველ ოჯახებსაც ეხმარება საცხოვრებელი ფართის მოწყობაში, საჭიროების შემთხვევაში, აღჭურვილობის მოძიებასა და შეძენაში, პანდუსების მოწყობაში.

რეაბილიტაცია და შშმ ბავშვების სოციალური ინტეგრაცია საჭიროებს თანამედროვე ტექნოლოგიებს; ცენტრი ცდილობს, არ ჩამორჩეს ამ ინოვაციებს. ცოტა ხნის წინ, პარტნიორებისა და პოლონელი მოხალისეების მხარდაჭერით, ცენტრში გაიხსნა სარეაბილიტაციო სტაციონარი, რომელიც შშმ ბავშვებისთვისაა განკუთვნილი, მას შეუძლია ერთდროულად მიიღოს 6-დან 12 წლამდე ასაკის ოცდახუთი ბავშვი. ,,მთავარი ამოცანაა, ვასწავლოთ რაიმე დარღვევის მქონე ბავშვს საკუთარი დროისა და შესაძლებლობების გამოყენება. ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის პიროვნული პოტენციალის, უნარ-ჩვევებისა და სულიერ მისწრაფებათა გამოვლინება; ყველას აქვს ნიჭი ამა თუ იმ სფეროში, მთავარია მისი დროულად აღმოჩენა და განვითარება. მადლობა ღმერთს, რომ მსოფლიოში თითქმის არ გამოიყენება სიტყვა „ინვალიდი“, არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. ბავშვები, რომლებსაც საერთოდ არაფრის კეთება არ შეუძლიათ, უბრალოდ არ არსებობენ!“ - აღნიშნავს ცენტრის გენერალური დირექტორი, მამა პავლე დილი.

კავკასია. სუროგატი დედები. საქართველო - სუროგაციის ახალი ბაზარი

პრორუსული ხელისუფლების წინააღმდეგ ქუჩის დემონსტრაციებისა და პოლიტიკური არასტაბილურობის მიუხედავად, საქართველო მაინც რჩება ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ მეზობელ ქვეყნად ჰეტეროსექსუალური წყვილებისათვის, რომლებიც ეძებენ შვილებს საშვილოსნოს დაქირავებით, არა მხოლოდ დაბალი ხარჯების გამო, არამედ იმიტომაც, რომ კანონის გათვალისწინებით, ახალშობილი საბუთებში ორივეს შვილად იწერება.

საქართველოში არსებული პრაქტიკა ჩვენი თანამემამულეების წყვილებსაც ეხება, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ თბილისში იტალიის საელჩოს ვებგვერდზე გამოყოფილია 2016 წლის 18 აგვისტოთი დათარიღებული გვერდი, რომელიც უამრავ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის.

პირველი: დიპლომატიური ოფისები, „არასრულწლოვანთა უზენაესი ინტერესებიდან გამომდინარე“, ვალდებულნი არიან ახალშობილისთვის გასცენ იტალიაში შესასვლელად შესაფერისი სამგზავრო დოკუმენტი. თუმცა, საელჩო შეახსენებს, რომ მისი ვალდებულებაა გადასცეს დაბადების მოწმობა საცხოვრებელ მუნიციპალიტეტს „ნებისმიერი ტრანსკრიფციისთვის“, და რომ მან აუცილებლად უნდა აცნობოს მუნიციპალიტეტს და კომპეტენტურ პროკურატურას ბავშვის „დაბადების განსაკუთრებული გარემოებების“ შესახებ.

მოკლედ, იტალიის დიპლომატიური ოფისი თბილისში, როგორც ჩანს, იმედს გაუცრუებს ან, მინიმუმ, აფრთხილებს წყვილს, თუ რა მოხდება იტალიაში დაბრუნების შემდეგ: დაბადების მოწმობა, სანამ სამოქალაქო სტატუსის რეესტრში გადაიწერება, „იქნება სკრუპულოზური ყურადღების ობიექტი, საზოგადოებრივ წესრიგთან ნებისმიერი პრობლემის თვალსაზრისით, რაც გამოწვეულია იტალიური სამართლებრივი სისტემის პრინციპების დარღვევით სამედიცინო დახმარების გაწევასთან დაკავშირებით“.

ამით როდი მთავრდება: საელჩოს ვებგვერდზე ნათქვამია, რომ იმის გათვალისწინებით, რომ ჩვეულებრივ, წყვილიდან მამაკაცი არის ბიოლოგიური მამაც, რადგან ის იძლევა თავის გამეტებს, თუკი მოხდა პირიქით, ანუ „გამოძიებით დადგინდება, რომ დედად მითითებულ ქალს არ გაუცია არც კვერცხუჯრედი და არც ორსულობა ჰქონია (ანუ ყველა შემთხვევაში ორსულობა სხვებისთვისაა, რედ.), პასუხისმისგებელი პირი ვერ შეძლებს სამოქალაქო რეესტრში დაბადების აქტის რეგისტრაციას და დაინტერესებული მხარე დანაშაულის ობიექტი ხდება სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 567-ის საფუძველზე, რაც ეჭვმიტანილთათვის გულისხმობს, სასჯელის შემთხვევაში, დამატებითი სახით მშობლის უფლებამოსილების ჩამორთმევას“. კაცი (და ქალიც) გაფრთხილებულია...

დასასრული, დასაწყისი ,,საბა“#6 (330)

რა მოვიმოქმედოთ?!

ქრისტიანები და მოსეს ხუთწიგნეული (ზირ. 15,15–20; მათ. 5,17–19)



მამა გეორგ ბრაულიკი OSB, კათოლიკე თეოლოგი, ვენის უნივერსიტეტის ძველი აღთქმის ემერიტირებული პროფესორი

ძვირფასნო,

რა მოვიმოქმედო?! - არაერთხელ დაგვისვამს ეს შეკითხვა საკუთარი თავისთვის, თუ არადა სხვისგან მაინც გვსმენია. ამ შეკითხვის არსებობა თავისთავად მნიშვნელოვანი და საჭიროა. ხშირად ვვარდებით ხოლმე ისეთ სიტუაციაში, სადაც აუცილებლია მოქმედება, ან საპასუხოდ რაიმე ქმედების გამოხატვა. თითქმის შეუძლებელია ჩაიაროს დღემ ისე, რომ რაიმე საგულისხმო არ მოხდეს. შეიძლება მაშინვე ვერ გავაცნობიეროთ ამა თუ იმ შემთხვევის ავკარგიანობა, მაგრამ ხდება ხოლმე ისე, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ აღმოვაჩენთ, ეს ხსენებული შემთხვევა თურმე საფრთხის შემცველი ყოფილა ჩვენი ცხოვრებისათვის, უფრო მეტიც, არასწორად მოვქცეულვართ. თუმცა ჩვენ სწორად მოქცევა, სწორი გადაწყვეტილების მიღება გვსურს. შესაბამისად, განუწყვეტლივ თან გვდევს ფიქრი, რა მოვიმოქმედოთ, რა იქნებოდა გონივრული და საჭირო ქმედება ამა თუ იმ საკითხის წინაშე აღმოჩენისას. ამ მოუსვენარ ფიქრებს ხშირად სხვადასხვა ადამიანთა სახეები ახლავს ხოლმე თან. მსგავს, დამძიმებულ მდგომარეობაში ყოფნის დროს შეცდომის დაშვებაც უფრო მარტივია და, ფიქრით გადაღლილებმა, შეიძლება გარშემომყოფების მიმართ არც აგრესიის გამოვლენაზე ვთქვათ უარი. ამიტომ, ადამიანის სურვილი - ჰქონდეს ცხოვრებაში გარკვეული ორიენტირი სრულიად სამართლიანი მოთხოვნაა. საუბარია ორიენტირზე, რომელიც მას შეცდომებს თავს აარიდებს და მის ცხოვრებას სწორად მსვლელობის საშუალებას მისცემს. ეს არის ძიება ცხოვრების მთავარი მიმართულებისა, რომლითაც განიმსჭვალება და რომელზე დაყრდნობასაც შეძლებს ადამიანი ცხოვრების ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღების დროს.

„ადამიანის წინაშეა სიკვდილი და სიცოცხლე და რასაც ინებებს, ის მიეცემა. მან დაგიდო წინ ცეცხლი და წყალი და რომელიც გენებოს, ის აირჩიე. თუ მოისურვებ, დაიცავ მცნებებს და კეთილი რწმენით მოიქცევი. რადგან დიდია სიბრძნე უფლისა, ურყევია მისი მეუფება და ყველაფერს ხედავს. მისი თვალი დაჰყურებს მოშიშთ და მან იცის ყოველი საქმე კაცისა. უღმერთოება არავისთვის დაუდევს მცნებად და არც არავისთვის მიუცია ცოდვის ჩადენის ნება“ (ზირ. 15,15–20).

„არ იფიქროთ, თითქოს რჯულის ან წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად მოვედი. გასაუქმებლაღ კი არა, აღსასრულებლად მოვედი. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვიდრე ცა და მიწა არ გადაივლის, არც ერთი იოტა ანდა არც ერთი წერტილი არ გადაივლის რჯულისა, ვიდრე ყოველივე არ აღსრულდება. ამრიგად, ვინც დაარღვევს ერთს ამ უმცირეს მცნებათაგანს და ისე ასწავლის ადამიანებს, უმცირესი დაერქმევა მას ცათა სასუფეველში, ხოლო ვინც ასრულებს და ასწავლის, მას დიდი დაერქმევა ცათა სასუფეველში“ (მათ. 5,17–19).

ძველი და ახალი აღთქმის მოცემული საკითხავები, ზემოთ ხსენებულ ჩვენს მთავარ შეკითხვაზე, ქრისტიანებისათვის, ერთი შეხედვით, მოულოდნელ პასუხს გვთავაზობენ. ორივე მათგანი მიგვანიშნებს იმაზე, რომ პასუხი თორაში, მოსეს კანონში, მის „რჯულში“ უნდა ვეძიოთ. აქ საკითხი ეხება, არც მეტი, არ ნაკლები, ღმერთის რჩეული ერის სოციალურ-საზოგადოებრივი მოწყობის ფორმას. ზემოთ მოყვანილი ძველი აღთქმის მონაკვეთი (ზირ. 15,15-20) დაწერილია იმ პერიოდში, როდესაც ისრაელი, ძირითადად, იმაზე ფიქრით იყო დაკავებული, თუ როგორ უნდა გაეგრძელებინა სხვაგვარად მოაზროვნე სამყაროსა და ახალი, მიმზიდველი, კონკრეტულად კი ძვ. წ. აღ. III-II საუკუნეების ელინური კულტურის გამოწვევების წინაშე მყოფ ერს თავისი ცხოვრება. ელინურმა განმანათლებლურმა იდეებმა ბევრ მათგანს ორიენტირი წაართვა, მათი იდენტობა დაამსხვრია. შესაბამისად, ისრაელი გადაწყვეტილების მიღების საჭიროების წინაშე აღმოჩნდა. საჭირო იყო გადადგმა ისეთი ნაბიჯისა, რომელიც მათ ნამდვილი სიცოცხლისაკენ მიმავალ გზაზე დააყენებდა. საუბარია სიცოცხლის სისავსეზე აქ და ახლა, მის შესახებ ესაუბრებოდა და მას ჰპირდებოდა ღმერთი თავის ერს თორას საშუალებით. მოსეს ხუთწიგნეული აღწერს არა მხოლოდ ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთობას, არამედ მისთვის, ისრაელის ცხოვრების კანონისთვის, მნიშვნელოვანია საერთო საზოგადოებრივი კეთილდღეობა. მოსეს რჯული გაცილებით მეტად არის ორიენტირებულ საერთო კეთილდღეობაზე, ვიდრე ძველი აღმოსავლეთის ნებისმიერი სხვა კანონმდებლობა.

გერმანულიდან თარგმნა სოფიო გოზალიშვილმა
გაგრძელება იქნება

კათოლიკე მისიონერები და ამერიკის აღმოჩენის გასტრონომიული შედეგები

შოკოლადი

მე-15 საუკუნის ბოლოს დაწყებულმა შორეულმა საზღვაო მოგზაურობებმა სათავე დაუდო დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქას. მეზღვაურებთან და კონკისტადორებთან ერთად კათოლიკე მღვდლებიც გაემგზავრნენ ამერიკაში. ადგილობრივი მოსახლეობის გაქრისტიანებაში დიდი წვლილი მიუძღვით როგორც ფრანცისკელთა და დომინიკელთა ორდენებს, ისე იეზუიტებს. კათოლიკე მღვდლები იყვნენ ყველაზე განათლებული ევროპელები, რომლებიც ჩავიდნენ ,,ახალ მსოფლიოში"; მათ პირველებმა აღწერეს „ამერიკული" ბოსტნეული და ხილი. ევროპულ რაციონს შეემატა პომიდორი, კარტოფილი, სიმინდი, ლობიო, შოკოლადი და სხვა პროდუქტი. მაგრამ კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ ევროპისთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იყო კაკაოს მარცვლები, რომლისგანაც მზადდება შოკოლადი. მყარი სახით შოკოლადი მხოლოდ მე-18 საუკუნის ბოლოს გამოჩნდა, მანამდე კი ის იყო სასმელი, რომელიც ფერით ყავას ჰგავდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა არისტოკრატიულ სალონებსა და სამეფო სასახლეებში.

კაკაოს მარცვლებისგან ინდიელები ამზადებდნენ სასმელს, სახელწოდებით ,,Chocolatl" (აცტეკების ენაზე - ,,მწარე წყალი"). ევროპელებმა ეს მარცვლები პირველად ნახეს 1502 წელს, ქრისტეფორე კოლუმბის მეოთხე ექსპედიციის დროს ,,ახალ მსოფლიოში". კაკაო პირველმა აღწერა კოლუმბის უმცროსმა ვაჟმა ფერნანდომ, რომელიც ექსპედიციაში იმყოფებოდა მამასთან ერთად, შემდეგ კი ეს მოვლენები ასახა მამის შესახებ დაწერილ წიგნში - ,,ქრისტეფორე კოლუმბის ცხოვრება". მაგრამ თავად კაკაოს მარცვლებისაგან მომზადებული სასმელი ევროპელებმა მოგვიანებით ნახეს. კონკისტადორ ერნან კორტესის ექსპედიციაში მონაწილე ბერნალ დიაზ დელ კასტილიომ (ესპ. Bernal Díaz del Castillo) თავის წიგნში ,,ახალი ესპანეთის დაპყრობის ნამდვილი ამბავი" (Historia verdadera de la conquista de la Nueva España) აღწერა აცტეკების იმპერატორ მონტესუმა II-ის სასახლეში 1519 წლის ნოემბერში გამართული სადილი: ,,იქ იყო კაკაოსგან დამზადებული ერთგვარი სასმელი... ამბობენ, რომ ის ხელს უწყობს ქალებთან წარმატებას".

თავდაპირველად შოკოლადი ევროპელებში ზიზღს იწვევდა. იტალიელი მოგზაური ჯიროლამო ბენცონი (Girolamo Benzoni), რომელმაც მოინახულა ამერიკა, 1565 წელს გამოქვეყნებულ თავის წიგნში ,,ახალი მსოფლიოს ისტორია" (La Historia del Mondo Nuovo), წერდა, რომ შოკოლადი მას მოეჩვენა ,,უფრო ღორებისთვის შესაფერის სასმელად, ვიდრე ადამიანებისთვის. თითქმის წელიწადზე მეტხანს ვიყავი იმ მხარეში და არასდროს გამჩენია მისი გასინჯვის სურვილი". ასეთივე ზიზღით აღწერს შოკოლადს ესპანელი ისტორიკოსი და გეოგრაფი, იეზუიტი კათოლიკე მისიონერი ხოსე დე აკოსტაც (José de Acosta) თავის წიგნში ,,ინდოეთის ბუნებრივი და ზნეობრივი ისტორია" (Historia natural y moral de las Indias), რომელიც გამოიცა 1590 წელს: ,,მიუჩვეველ ადამიანებში მისი შეხედვა იწვევს გულისრევას, ვინაიდან ამ სასმელს თავზე ქაფი აქვს, ძირში კი - ნალექი, ამიტომ საკმაო ძალისხმევაა საჭირო იმისთვის, რომ იძულებით დალიო ის".

ინდიელთა შოკოლადს მწარე გემო ჰქონდა, რადგან მათთვის შაქარი ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, ის თან ჩამოიტანეს ევროპელებმა. ლეგენდის თანახმად, შოკოლადს შაქარი დაუმატა მეხიკოს პირველმა ეპისკოპოსმა, ფრანცისკელმა მისიონერმა ხუან დე ზუმარაგამ (ესპ. Juan de Zumárraga), სწორედ მან, ვინც 1531 წელს იხილა გვადალუპეს ღვთისმშობლის სასწაულებრივი გამოსახულება, ამჟამად მექსიკელთა მთავარი ხატი. სინამდვილეში, უცნობია, ვინ დაუმატა პირველად შოკოლადს შაქარი, მაგრამ ზუსტადაა ცნობილი, რომ შოკოლადი ამერიკიდან ევროპაში უკვე ტკბილი შევიდა.

ედუარდ ზახარიანი

ჩავულრმავდეთ ცხოვრებას

* ცდუნება დანებებისა განსაკუთრებით მძაფრდება გამარჯვებამდე ცოტა ხნით ადრე.
* ნუ ისაუბრებ, თუ ეს სიჩუმეზე უკეთესი არ იქნება.
* ათასი კილომეტრის მანძილზე მოგზაურობა პირველი ნაბიჯით იწყება.
* ძლიერი გადალახავს დაბრკოლებას, ბრძენი - მთელ გზას.
* ნუ შეგაშინებთ დაყოვნება, გეშინოდეთ გაჩერების.
* სულელს ბედნიერებაც სულელური აქვს.
* თუ წაბორძიკდი და წაიქეცი, ეს როდი ნიშნავს, რომ სწორ გზას არ ადგახარ.
* ქოხი, სადაც იცინიან, უფრო მდიდარია, ვიდრე სასახლე, სადაც მოწყენილობა სუფევს.
* ყოველთვის შეხედე საგნებს ნათელი მხრიდან და თუ ასეთი არ აქვს, იქამდე წმინდე, ვიდრე არ გაბრწყინდება.
* რაც ხდება, ყოველთვის დროულად ხდება.
* ის, ვინც ნაკლზე მიგითითებს, ყოველთვის არ არის შენი მტერი; ის, ვინც შენს ღირსებებზე საუბრობს, ყოველთვის შენი მეგობარი არ არის.
* ნუ გეშინია არცოდნის - გეშინოდეს სწავლის შეწყვეტის.
* მასწავლებელი მხოლოდ კარს გიხსნის, შემდეგ თავად უნდა გაიკვლიო გზა.
* რაც არ უნდა ძლიერ ქროდეს ქარი, მთა მის წინაშე არ მოიდრიკება.
* იცხოვრე მშვიდად. დადგება დრო და ყვავილები თავად გაიშლებიან.
* არ არსებობს მეგობარი ნაკლის გარეშე; თუ ნაკლის ძებნას შეუდგები, მეგობრის გარეშე დარჩები.
* უბედურება შედის იმ კარში, რომელსაც უღებენ.
* არავინ ბრუნდება მოგზაურობიდან ისეთი, როგორიც წასვლამდე იყო.
* ვისაც გაწითლების უნარი შესწევს, შეუძლებელია ჰქონდეს ბოროტი გული.
* სჯობს ერთი დღით იყო ადამიანი, ვიდრე ათასი დღე მისი აჩრდილი.
* შენი სახლი იქაა, სადაც მშვიდად ფიქრი შეგიძლია.
* ადამიანმა, რომელმაც მთის გადაადგილება შეძლო, იმით დაიწყო, რომ ერთი ადგილიდან მეორეზე პატარა ქვებს ეზიდებოდა.
* თუ შეცდომას დაუშვებ, სჯობს მაშინვე გაიცინო და გაკვეთილად გქონდეს.
* ხის დარგვის საუკეთესო დრო მრავალი წლის წინ იყო. შემდეგი საუკეთესო დრო დღესაა.

ვატიკანში, ქართული ხელნაწერის ქვეშ, ბიბლიის თავის აქამდე უცნობი ვერსია აღმოაჩინეს



ვატიკანის ბიბლიოთეკაში, ულტრაიისფერი ფოტოგრაფიის გამოყენებით, აღმოაჩინეს ბიბლიის ერთ-ერთი თავის ძველი ვერსია. იგი ძველქართულად, ნუსხურად შესრულებული ტექსტის ქვეშ იყო მოქცეული 1500 წელიწადზე მეტხანს. ამის შესახებ წერს პირველი არხი, ჟურნალ New Testament Studies-ზე დაყრდნობით.

ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიკოსი გრიგორი კესელი აღმოჩენის შესახებ ჟურნალ New Testament Studies-ში გამოქვეყნებულ სტატიაში საუბრობს. New Testament Studies წარმოადგენს კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობის რეცენზირებულ აკადემიურ ჟურნალს. კესელის ცნობით, მან ულტრაიისფერი ფოტოგრაფიის გამოყენებით სცადა ენახა, რა ეწერა პალიმფსესტზე შესრულებული სიტყვების სამი შრის ქვეშ. პალიმფსესტი არის უძველესი ხელნაწერი, რომლის ფურცლები გადარეცხვის შემდეგ ხელახლა არის გამოყენებული საწერ მასალად. ვინაიდან პერგამენტი ძვირი ჯდებოდა, ამიტომ გამოუსადეგარ ტექსტს რეცხავდნენ და მასზე ხელმეორედ წერდნენ ახალს, მაგრამ მელანი ისე იყო ტყავში გამჯდარი, რომ ძველი ტექსტის კვალი მაინც არ ქრებოდა და ქვედა ფენის ამოკითხვა შესაძლებელი იყო. კესელის აღმოჩენაში აღწერილი ტექსტი წარმოადგენს მათეს სახარების მე-12 თავის დიდი ხნის უცნობ ვერსიას, რომელიც თავდაპირველად, დაახლოებით 1500 წლის წინ, ბიბლიის ძველსირიულ თარგმანში შედიოდა. კესელის განცხადებით, ტექსტი მან ვატიკანის ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერში აღმოაჩინა.

აღმოჩენის შესახებ გამოქვეყნებული პრესრელიზის მიხედვით, ხელნაწერი მკვლევრებს „უნიკალურ კარიბჭეს“ სთავაზობს ბიბლიის ტექსტუალური ევოლუციის ადრეული ფაზების შესასწავლად. ჩანს ტექსტის თანამედროვე თარგმანისგან გარკვეული სხვაობებიც. მაგალითად, პრესრელიზის მიხედვით, მათეს 12:1-ის თავდაპირველ ბერძნულ ვერსიაში წერია: „ერთხელ, შაბათ დღეს, ყანაში მიდიოდა იესო; მოშივდათ მის მოწაფეებს და დაიწყეს თავთავების კრეფა და ჭამა“. ახლად აღმოჩენილ სირიულ თარგმანში კი ოდნავ სხვაგვარად წერია: „დაიწყეს თავთავების კრეფა, ხელებით სრესა და ჭამა“.

პალიმფსესტზე შესრულებული ხელნაწერი, რომლის ქვეშაც ძველსირიული თარგმანი აღმოაჩინეს, ძველქართულად, ნუსხურად არის შესრულებული და ვატიკანის ბიბლიოთეკაში ის მე-20 საუკუნის შუა პერიოდში მოხვდა. ქართველი მკვლევრის, მიხეილ თარხნიშვილის მოკლე ჩანაწერის წყალობით, მეცნიერებმა მის შესახებ უკვე 1953 წელს იცოდნენ. მაგრამ ხელნაწერი დაიკარგა. 2010 წელს ის ხელახლა აღმოაჩინეს, 2020 წელს კი გააციფრულეს და ვატიკანის ციფრულ ბიბლიოთეკაში განათავსეს.

ვატიკანში დაცული ეს ხელნაწერი თავდაპირველად სინის წმიდა ეკატერინეს მონასტერში დაცულ ქართულ ხელნაწერს ეკუთვნოდა (სახელით Sin. geo. 49), რომელიც შეიცავდა იადგარსაც. ეს ქართული ხელნაწერი პალიმფსესტს წარმოადგენს და შედგენილია სხვადასხვა ენაზე შესრულებული დამოუკიდებელი რედაქციის მრავალი ნაწილისგან. ქართული ხელნაწერი არასრულყოფილია და მრავალი ნაწილი აკლია, მათ შორის, კოლოფონიც (წიგნის ბოლოს დართული მხატვრის ან გამომცემლის გვარები და სხვა ცნობები). მიუხედავად ამისა, ხელნაწერის ანალიზების საფუძველზე, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ის მე-10 საუკუნის ცნობილი ქართველი მწიგნობრის, იოანე-ზოსიმეს მიერ არის შესრულებული. იოანე-ზოსიმე თავდაპირველად მოღვაწეობდა პალესტინაში, ჯერ საბაწმიდის ლავრაში, ხოლო X საუკუნის 70-იანი წლებიდან - სინას მთაზე, წმიდა ეკატერინეს მონასტერში.

მომზადებულია phys.org-ის მიხედვით

ოჯახების
შაბათი -2023

"ავაგოთ ოჯახი ქრისტიანულ ღირებულებებზე"

21-27
აგვისტო -
დაბა ურეკი

ინფორმაციის მისაღებად
დაგვიკავშირდით:
T: 599 288093
(0431) 24 56 74

INER Georgia

საქართველოს კათოლიკეთა
პატრიარქის ბიულეტენი

THE MONTHLY BULLETIN OF
CATHOLICOS OF GEORGIA - SABA

საბა

ISSN 2720-8001

მმართველი redaktori: მ. გაბრიელი ბრეგვაძე CSS
საredaktoro კოლეგია: ნიკოზ ბარბაქაძე, გიორგი ნოზაძე, მირონ პარუნაშვილი, მერაბ ღაღანიძე, ეკატერინა ხიხარიშვილი
მანქანაური მხარდაჭერა: მღვდ. მიხეილ სურმავა, თამარ სტეფნაძე
მისამართი: ფერნალ „საბას" redakcia, ბაბა ალხაზის ქ. №4ა 0105, თბილისი, საქართველო,
E-mail: saba.jurnal@gmail.com; რეგისტრაციის №1853, დაარსება ბანანა ანდრიაძის მიერ 1995 წელს, © „საბა"